# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

# ბრძანება

24 ოქტომბერი 2017 წ. თბილისი № 714/03

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ**

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების"მე-14 მუხლის შესაბამისად და "აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრის 2017 წლის 27 სექტემბრის №842 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 ოქტომბრის №900 ბრძანების გათვალისწინებით,

**ვბრძანებ:**

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე- სალმა ეჯაზ აბდელრაზეკ აბდელგავად.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2017 წლის 01 დეკემბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს და თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს

დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი**